რესურსის სათაური	**გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია (ქეისები)**
ავტორი/ავტორები	*ნინო გვარამაძე*
სამიზნე აუდიტორია მასწავლებლები	**საბაზო საფეხურის მოქალაქეობის**
პრაქტიკული გამოყენება	**ადამიანის უფლებების სწავლება საბაზო საფეხურზე**
რესურსის ტიპი	**სავარჯიშო**
მიზანი	**მოქალაქეობის მასწავლებელთა დახმარება საბაზო საფეხურზე ადამიანის უფლებების სწავლებაში**

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია (ქეისები)

რესურსში მოცემული ქეისები მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ადამიანის უფლებების სწავლებისას. თითოეულ მათგანს ახლავს კითხვები, რომლებიც მოახდენს დისკუსიის პროვოცირებას. განმარტებებში მოცემულია რეალური გადაწყვეტილებები. მათი გაცნობის სემდეგ მასწავლებელი შეიძლება მიუბრუნდეს დისკუსიის დროს გამოთქმულ მოსაზრებებს.

ქვემოთ მოყვანილი ქეისები განხილულია 2000 – 2022 წლებში ავსტრალიის ადმიანის უფლებათა კომისიის მიერ. ზოგიერთი მათგანი გადაეცა განსახილველად სასამართლოს, ზოგი კი მხარეთა შეთანხმებით დასრულდა.

https://www.qhrc.qld.gov.au/resources/case-studies/sex-discrimination#Sex%20discrimination%20court%20and%20tribunal

1. გააცანით მოსწავლეებს ქეისი:

დედამ საჩივარი შეიტანა 10 წლის ქალიშვილის სახელით, რომელიც სწავლობდა კერძო სკოლაში. მისი თქმით სკოლის დირექტორმა გოგონების უნიფორმის არჩევანიდან ამოიღო გრძელი შარვლები და შორტები. ის ამტკიცებდა, რომ ასეთ პირობებში გოგონები შეზღფუდული იყვნენ ფიზიკურ აქტივობებში, ისმენდნენ კომენტარებს საცვლების შესახებ, ხოლო ზამთარში სციოდათ. გოგონას დედა ამტკიცებდა, რომ ბიჭებს არ აქვთ იგივე შეზღუდვები ფორმების არჩევისას.

დაუსვით კითხვები მოსწავლეებს:

- მიგაჩნიათ თუ არა დედის საჩივარი სამართლიანად?
- რა სახის უფლებების დარღვევაზეა საუბარი?
- როგორი შეიძლება ყოფილიყო აღნიშნული საჩივრის შედეგი?

მსჯელობის შემდეგ გააცანით განმარტება:

საკითხი არ გადაეცა სასამართლოს, კომისიამ მიაღწია გარკვეულ შეთანხმებას გოგონას დედასა და სკოლას შორის.

დირექტორის მიერ ცვლილების მიზეზი იყო შეშფოთება იმის გამო, რომ სკოლაში ერთიანი სტანდარტები "ამ ბოლო დროს დაეცა".

ამ საკითხში ბავშვის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით კომისიამ ანონიმურობის ბრძანება გასცა. პირისპირ შერიგების კონფერენცია გაიმართა სკოლის საზოგადოებისგან მოშორებულ ადგილას კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად.

შემათანხმებელ კონფერენციაზე სკოლა დათანხმდა: შემოეტანა შარვალი გოგონების ზამთრის ფორმის არჩევანში და შორტები და გოგოსთვის განკუთვნილი პერანგი ზაფხულის უნიფორმის არჩევანში. სკოლის დირექტორმა აიღო ვალდებულება გაეკეთებინა განცხადება სკოლის საინფორმაციო ბიულეტენში და სკოლის კრებაზე ცვლილებების მხარდასაჭერად. უნიფორმის სახელმძღვანელოში შეიტანეს გოგონების ფოტოები, რომლებიც ატარებენ უნიფორმის ახალ ვარიანტებს.

2. გააცანით ქეისი მოსწავლეებს:

მოსარჩელემ განცხადება გააკეთა კრამიტის მწარმოებელი შეგირდის პოზიციაზე. მან თავდაპირველად იკითხა, მიიღებდნენ თუ არა სრულწლოვან ადამიანს და პასუხი იყო დიახ, თუ მას კარგი ჯანმრთელობა ჰქონდა და შეეძლო სამშენებლო მოედანზე მუშაობა. შემდეგ მოსარჩელემ უთხრა, რომ მას ძალიან სურდა განაცხადის გაკეთება. მოპასუხემ ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ მათ არ იცოდნენ, რომ მოსარჩელე საკუთარ თავს გულისხმობდა; სამუშაო ფიზიკურად მძიმეა და თვლიდნენ, რომ ეს ძალიან რთული იყო ქალებისთვის.

დაუსვით კითხვები მოსწავლეებს:

- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელი იყო თუ არა ამ საკითხის შეთანხმებით გადაწყვეტა?
- რომელი მხარის პოზიციას იზიარებთ?
- სწორად იყო თუ არა შედგენილი რეკრუტირების (სამსახურში აყვანის) განცხადება?

მსჯელობის შემდეგ გააცანით მოსწავლეებს განმარტება:

მოპასუხეებმა კომისიას მიართვეს ბოდიშის წერილი, უარყვეს განცხადება იმის შესახებ, რომ სამუშაო ძალიან რთულია მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის და ისინი შეთანხმდნენ, რომ შეცვალონ თავიანთი რეკრუტირების განცხადებები მომავალში. მოპასუხეები ასევე დათანხმდნენ გაიარონ ტრენინგი დისკრიმინაციის საკითხებში და გადაუხადეს მოსარჩელეს კომპენსაციის ოდენობა.

3. გააცანით ქეისი მოსწავლეებს:

მოსარჩელეს უარი ეთქვა სილამაზის სალონში მომსახურებაზე, რადგან ისინი მხოლოდ მამაკაცებს ჭრიდნენ თმას. მოპასუხეებმა განმარტეს, რომ მათი იჯარა სავაჭრო ცენტრთან, სადაც მაღაზია იყო განთავსებული, მათ მხოლოდ მამაკაცის თმის შეჭრის უფლებას აძლევდა.

დაუსვით კითხვები მოსწავლეებს:

- მიგაჩნიათ თუ არა სილამაზის სალონის მესვეურთა საქციელი გამართლებულად? *(ისინი იცავდნენ იჯარის პირობებს)*
- რამდენად გამართულია საიჯარო ხელშეკრულება? (*გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არ არის გამართლებული)*
- როგორ შეიძლება გადაიჭრას პრობლემა?

მსჯელობის შემდეგ გააცანით მოსწავლეებს განმარტება:

საჩივარი მოგვარდა შემდეგნაირად: როგორც საპარიკმახეროს მენეჯერებმა, ასევე სავაჭრო ცენტრის ზედამხედველმა, გაიარეს ტრენინგი ანტიდისკრიმინაციულ თემაზე.

შენიშვნა მასწავლებლისთვის: საპარიკმახეროს არ დაეკისრა სხვა პასუხისმგებლობა, ვინაიდან იცავდა საიჯარო პირობებს.

4. გააცანით ქეისი მოსწავლეებს:

სპორტული კლუბის მმართველმა დირექტორმა მოსარჩელეს აცნობა, რომ მისი განაცხადი კლუბის წევრობის შესახებ უარყო, მაგრამ მიზეზის დასახელებაზე უარი თქვა. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას წევრობაზე უარი ეთქვა, რადგან ის ქალია და ეს დასკვნა ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ კლუბში ქალები არ იყვნენ. მოსარჩელე ასევე ამტკიცებდა, რომ მას წევრობაზე უარი ეთქვა, რადგან მისი პარტნიორი იყო იმავე კლუბიდან გარიცხული. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სხვა მიზეზი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი წევრობის განაცხადის უარყოფისთვის, რადგან იგი ძლიერი იყო სპორტში.

დაუსვით კითხვები მოსწავლეებს:

- როგორ ფიქრობთ, რატომ არ მისცა კლუბმა მოსარჩელეს ახსნა-განმარტება გადაწყვეტილების შესახებ?
- იყო თუ არა საფუძველს მოკლებული მოსარჩელის ვარაუდი? რატომ?

მსჯელობის შემდეგ გააცანით მოსწავლეებს განმარტება:

მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ კომპანიის წესები კლუბს აძლევდა უფლებამოსილებას მიეღო გადაწყვეტილება წევრობის შესახებ და ის არ იყო ვალდებული მიეცა ახსნა-განმარტება გადაწყვეტილებების თაობაზე.

საჩივარი გადაწყდა გარკვეული პირობებით, მათ შორის, რომ კლუბი მიიღებდა მოსარჩელის განაცხადს წევრობის შესახებ. მოსარჩელეს შეეძლო თავისი მხარდაჭერის გუნდის არჩევა, პარტნიორის ჩათვლით. ასევე, მოლაპარაკება შედგა სხვა კონკრეტულ პირობებზე, რათა მოსარჩელეს ესარგებლა კლუბის წევრობის ყველა უპირატესობით.

განმარტების გაცნობის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს გააანალიზონ თავიანთი პასუხები.

5. გააცანით ქეისი მოსწავლეებს:

მამაკაც მასწავლებელს აუკრძალეს საყურის ტარება, მაშინ, როცა ქალ მასწავლებლებს ეს არ ეკრძალებოდათ. მამაკაცი ცდილობდა საკითხის მოგვარებას სკოლასთან და მხოლოდ მაშინ მიმართა კომისიას, როცა მოლაპარაკებები ჩაიშალა. საჩივრის განვითარების პერიოდში მასწავლებელ მამაკაცზე ბევრი რამ ითქვა ისეთი, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა მის რეპუტაციაზე.

დაუსვით კითხვები მოსწავლეებს:

- არის თუ არა ეს დისკრიმინაციის შემთხვევა?
- რა სახის დისკრიმინაციაა?
- როგორ ფიქრობთ, რით დასრულდა ეს შემთხვევა?

მსჯელობის შემდეგ გააცანით მოსწავლეებს განმარტება:

მოსმენისას სკოლამ აღიარა, რომ მასწავლებლისთვის უარის თქმა საყურის ტარების უფლებაზე იყო დისკრიმინაცია სქესობრივი ნიშნით. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მამაკაცი იცავდა თავის უფლებებს გონივრულად და პატივისცემით და შეასრულა მოთხოვნა, არ ეტარებინა საყურეები სკოლაში (საქმის განხილვის დასრულებამდე).

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ პირადად მოუხადა ბოდიში მამაკაცს, მოსამართლემ განაცხადა, რომ სკოლის მიერ უფრო ფართო აღიარების არარსებობის შემთხვევაში, მამაკაცს დაუსვამდნენ კითხვებს, როდესაც ის საყურით დაბრუნდებოდა და არ იქნებოდა სამართლიანი, რომ მისგან მოესმინათ პასუხი კითხვებზე სკოლის პოლიტიკის ცვლილებასთან დაკავშირებით. სკოლისგან მოითხოვეს განმარტების ოფიციალურად გაკეთება.